№ 121. 13 ივნისი, შაბათი. 1866—1881 13 ივნისი, შაბაი. № 121.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზედ. თვ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან სილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვეულებრივის ასოთი მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდინ

**დროება**

ღირს ექვსი მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება, თფილისში, რედაქციაში (გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვეშ), ქუთაისში—აგენტთან ი. ილია ჭყონიასთან (სილაზე, მირიან ჭყონიას სახლში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთა-თვის ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба“.

---

უმდაბლესად ვსთხოვთ ყველას, ვინც კი რამე იცოდეს ან გაგონებით, ან წერილობით სოლომონ ლეონიძის (მეფე ერეკლეს მდივნის) შესახებ, დაგვავალოს და ის ცნობები „დროების“ რედაქციაში გამოგვიგზავნოს.

აკაკი

---

არწრუნის თეატრში

კვირას, 14 ივნისს

ბენეფისი

რეჟისორის თანაშემწის

**მ. წერეთლისა**

ქართული დრამატიული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

მზის დაბნელება

სამ მოქმედებიანი კომედია, ზ. ანტონოვისა.

II

დივერტისმენტს.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და „ივერიის“ თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი 8½ საათზე.

## ახალი ამბები.

გასულს კვირას, 7 ივნისს, იყო საერთო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც საზოგადოების სეკრეტარმა ბ. ი. ს. ხატისოვმა წაიკითხა სამის წლის (1878-1880) მოქმედების ანგარიში ამ საზოგადოებისა.

ანგარიშიდამ დავინახეთ, რომ ამ სამის წლის განმავლობაში საზოგადოების რჩევას ჰქონია სულ 15 ყრილობა და საერთო ყრილობა კი ყოფილა 32-ჯერ. ბ. სეკრეტარმა მოიხსენა-თუ რა გაუკეთებია საზოგადოებას ამ სამს წელიწადში: სხვათა შორის, იმას უშუამდგომლებია უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ რადგან ღვინისა და არაყის ბაჟს (აქციზს) მავნებელი გავლენა აქვს ხალხისათვის, ეს ბაჟი მოისპოსო; (მთავრობას ეს შუამდგომლობა, საუბედუროთ, უყურადღებოდ დაუგდია); 1879 წ. საზოგადოებას გაუმართავს ჩრდილოეთ კავკასიის (ბუშეკოს ბაღის) ხილეულის გამოფენა; 1879-1880 წლებში დიდი შრომა მიუღია კალიის გაწყვეტის საქმეში, გამოუცია დარიგება-თუ როგორ უნდა გაიწყვიტოს ეს მავნებელი მწერი და ამასთანვე მთავრობის წინაშეც უშუამდგომლებია, რომელსაც ამ საგნისათვის 320,000 მანეთზე მეტი დაუხარჯავს; მიუქცევია ყურადღება ვაზის ახალ ავათმყოფობაზე—ფილოქსერაზე და იმის წინადადებით მთავრობას რამდენიმე ყმაწვილი კაცი გაუგზავნია ყირიმში ამ ვაზის სენის შესასწავლად.

საზოგადოების საერთო კრებებზე ზოგიერთ წევრებს და გარეშე პირთ წაუკითხავთ თავიანთი შრომა და ნაწერები სხვა-და-სხვა სამეურნეო საგნების შესახებ.

საზოგადოება აბეჭდვინებს მუდამ თვე თავის სხდომების პროტოკოლებს და აგრეთვე წევრებისა და გარეშე პირების სამეურნეო სტატიებსა და კორრესპონდენციებს; ამას გარდა საზოგადოება აბეჭდვინებს დიდ სამეურნეო სტატიების „კრებულს“.

„სულ 25 კაცი არის თფილისშიო, სთქვა ბ. სეკრეტარმა, რომელნიც ჩვენ მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებენ და გვეხმარებიანო... უმთავრესი დაბრკოლება ჩვენი ის არისო, რომ შეძლება არა გვაქვსო, ექვსასი თუმანი მაინც რომ მოგვცა წელიწადში, ჩვენი საზოგადოების პრაქტიკული მოქმედება უფრო ნაყოფიერი იქნებოდაო“.

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, ყრილობა შეუდგა საზოგადოების გამგეობის წევრთა ამორჩევას: თავს-მჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ისევ ძველი თავს-მჯდომარე—თ. დ. დ. ჯორჯაძე, იმის ამხანაგად ი. ს. ხატისოვი; რჩევის წევრებად: თ. ზ. ა. ჯორჯაძე, ვ. ნ. ბეევსკი, ა. ი. ელიოზოვი და ტ. გ. ბოლოტოვი; კანდიდატებად: მედვედევი და სტრუვე; საზოგადოების სეკრეტრად — აგრონომი ხოჯაევი.

* * *

ამ დღეებში დაიბეჭდა და გამოვიდა VIII (მერვე) ტომი „კავკასიის არხეოგრაფიულ კამისიის აქტებისა“, რომელიც შეიცავს კავკასიის მთავარ-მმართებლის ბარონ როზენის დროს (1831—1837)

* * *

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი წერილი საქალებო ინსტიტუტის რჩევის წევრისა თ. სოლომონ ერისთვისა:

„მ. ს. გაზეთის „კავკაზის“ მე-126 ნომერში დაბეჭდილია შენიშნვა, რომ საქალებო ინსტიტუტის კასსაში 150,000 მანეთი აკლდებაო და ამ ფულის დამხარჯველად მე მასახელებენ. ამ საგნის შესახებ გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ ინსტიტუტის გამგეობაში მომხდარი უწესოება კანონიერის წესით განსილული იქნება და მანამ კი მე არ ვპოვებ საჭიროდ და შესაძლებელად, რომ ყველა ჩემდამი მომართულ დაუმტკიცებელ ცილის-წამებას პასუხი გავცე.“

* * *

მოსკოვის გაზეთებში იწერებიან, რომ იქაურ სამეურნეო საზოგადოებას ნ. ნ. შავროვისათვის მიუნდვია კავკასიის აბრეშუმის წარმოების საქმის გაცნობა და ამ განზრახვით გაუგზავნია ის იმ ადგილების დასავლელად კავკასიაში, სადაც კი აბრეშუმი მოჰყავთ, განსაკუთრებით ნუხში, შუშაში, აკულისში და სხვ.

* * *

თავის მიწა-წყლის და ავლა-დიდების მოვლა საქები საქმეა, მაგრამ არც ისე გაგონილა, როგორც თავ. ი. კ. მუხრან-ბატონი იქცევა თავის მამულში...

ჩვენ არა გვჯერა, მაგრამ ქალაქში ხმა ჩამოიტანეს და მარტო ამ ხმას ვიმეორებთ: წასრულ ორშაბათს სოფ. ოკამში მუხრან-ბატონის კაცები დასცემიან თ. ალექსანდრე მუხრანსკის მამულს, სადაც გუთანი მუშაობდა, გუთნები დაუჭერიათ, ერთი გუთნის დედისთვის თავი გაუტეხიათ და სხვა დაუჭრიათ. ამბობენ, მუხრან-ბატონი ამ მამულს ეცილება თ. ალექსანდრე მუხრანსკისო.

* * *

ჩვენ მივიღეთ შემდეგი შენიშნვა გაზეთში დასაბეჭდათ:

„გასულს 23 აპრილს მე მგზავრათ

---

## «დროების» ფელეტონი, 13 ივნისს.

### ც—ს

როს ლაჟვარდ ცაში ამაყად მავალს
ვუყურებ მთვარეს ფიქრში წასული,
შენ მეჩვენები, ვერ გაშორებ თვალს,
ცრემლები მცვივა, მელევა სული.

—

უმთვარო ღამეს მოწმენდილ ცაში
ვარსკვლავებთ შორის ვქებნი შენს მსგავსსა,
იქაც ვპოვულობ ჩემსა სიამეს
და სასოებით დაბლათ ვხრი თავსა.

—

თვალსა ვადევნებ მდუმარე ცასა,
ოდეს ნიავი ღრუბელს მორეკავს;
ვპოვულობ შენს მზგავსს, ვვედრი მოცდასა,
მაგრამ არ იცდის, მივრენს, გულს მიკლავს...

—

თითქოს ცხადათა ყოველგნივ შენ გხედავ,
საითაც რომ კი მივაპყრობ თვალსა;
ვშიშობ არ გაჰქრე, სუნთქვას ვერ ვბედავ
და ვაძღიერებ გულში მწველ ალსა.

—

როს ახსენებენ შენსა სახელსა
სადმე კრებაში, და მომესმება,
თვალებში ვკარგავ მაშინ ნათელსა,
სული მეტანჯვის, ცეცხლი მედება.

—

იქნება ჩემებრ შენც, მშვენიერო,
ცრემლებსა ღვრიდე ჩემთვისა მწარედ,
გულ დატანჯულსა, სულო ციერო
არ გქონდეს ლხენა იყო მწუხარედ?

—

თუ ეს ასეა, გთხოვ: დამივიწყე,
ნუღარ ახსენებ ჩემსა სახელსა;
ცელქი, უდარდო ცხოვრება იწყე,
განშორდი დარდებს გულის დამწველსა.

—

ვიტანჯო მარტო ემჯობინება,
მისთვის ნუ სწუხხარ, ტყვილა ნუ სტირი,
შენ მხოლოდ ნურა გექმნება ვნება
და წამიღია მე შენი ჭირი.

1880 წ. 20 ივნისს. დ. ლეონიძე.

---

### სცენა გურულების ცხოვრებიდამ

(ოზურგეთის მომრიგებელ სასამართლოში)

**მოსამართლე.** ხახულიკა ციბაძე.

**ციბაძე.** აგერ გახლავარ, ჩემო ბატონო (წადგება წინ).

**მოსამართლე** შენზე შემოიტანა საჩივარი სიმონა ცხინკვაძემ, რომ გაგილანძღავს მთელ სოფლის შეკრებილებაში. დანაშაულათ რაცხავ შენ თავს, თუ არა?

**ციბაძე.** მაგას რაზე ჩივი, ჩემო ბატონო! დანაშაული რომ ვყოფილიყავი, აქ რათ მოვიდოდი, აჭარაში ამოვკრავდი თავს! ჩემი ანბავი რომ მოგიყვე, შეგებრალები, ვიცი ნამდვილათ! ერთი მარტო ხელი კაცი გახლავარ, არც ცოლი გამაჩნია და არც შვილი; მარა იმისანა უბედური ბედის ვარ, რომ არაფერი გამივიდა ქვეყანაზე. იქით ვეცი, აქეთ ვეცი, მარა არაფელი ეშველა ჩემ თავს.

**მოსამ.** ამეების ლაპარაკი აქ რა გამოსადეგია?

**ციბაძე.** იმიტომაა, ბატონო, გამოსადექი, რომ თავი მინდა შეგაბრალო, თავიდან თუ არ მოგიყვევი, ბოლო

გამოვიარე სოფელს ტკოცა'ში. ვნახე, რომ ეკკლესიასთან იყო შეკრებილი საზოგადოება, როგორც თავადნი ისე აზნაურნი და გლეხნი.

„როგორც შევიტყე სოფლის თავად-აზნაურნი და გლეხნი იყვნენ მოწყენილნი თ. ალექსანდრე ბაგრატიონ—დვიდოვისაგან. მიზეზი ყრილობისა ის იყო, რომ ამ სოფლის გლეხები თურმე დიდის ხნიდგან მოკლებულნი იყვნენ წირვა-ლოცვასა, უეკლესიობის გამო, და ბ. ბაგრატიონ—დვიდოვს თავის საკუთარის ხარჯით აუგია სოფელში ეკკლესია ყოველივე ეკკლესიურის მოწყობილებითა; და ამ დღისთვის მიუღია წერილი სასულიერო მთავრობისგან, რომ აკურთხებინოს, და რადგან ამ დღეს დღეობათ არის დადებული წმინდა გიორგობა, იმის სახელზედ აკურთხებინა.

„ამისთანავე კეთილი საქმე განუზრახავს ბ. ბაგრატიონ-დვიდოვს და შედგომია სოფელს სატივეშიაც ეკკლესიის აშენებასა, რომელიც აგრეთვე ამ მოკლე დროში იქნება ნაკურთხი.

„ამ გვარი საქმე მით უფრო საქებია, რომ, სეცა ხალხს ეკკლესიის აშენების ხარჯი არ დააწვება, იქ სკოლის გამართვას უფრო ადვილად შეიძლებს და მოახერხებს.

* * *

ქართლიდამ გვწერენ:

„ამას წინათ დღეობიდგან მამავალმა თ. ი. და ე. ხერხეულიძეებმა შემდეგი საქმე ჩაიდინეს:

„ალელი გლეხები იყვნენ შეყრილნი სასმელათ ულუბის გზაზედ და მღეროდნენ თავიანთვის. ამ დროს გამოიელიან ზემოხსენებული ხერხეულიძეები ურმით თავიანთი ქალებითა, და გლეხებს დაასაქმნენ რაღაზედაც. გლეხები არ გაუგონებენ, და ამაზედ შეექნებათ ერთმანეთს შუა უსიამოვნო ლაპარაკი...

„მეორეს დღეს ხერხეულიძეები შეიტანებენ სოფლის სასამართლოში საჩივარს, რომ ჩვენს ქალებს შეურაცყოფა მიაყენეს ალელმა გლეხებმაო. როგორც უცოდინარი ხალხი შეშინდებიან და მშვიდობიანათ შეურიგდებიან: ას ორმოც-და-ათი მანეთს წაავლეჯენ საწყალ გლეხებს, და გაუდგებიან სოფლისკენ გახარებული კნიაზები. დღესაც ის გლეხები იმ ფულის ვალში მოჯამაგირეთა სდგანან.“

## „დროების“ კორრესპონდენციები

**ზემო-იმერეთი,** 5 ივნისს. დიდი ხანი ვფიქრობდი, რომ ზემო-იმერეთის ცუდი გზების და ხიდების ამბავი მეცნობებია თქვენის გაზეთისათვის, იქნება ყურადღება მიაქციონ და გააკეთონ-მეთქი; მაგრამ დღემდინ ეს სურვილი ვერ შევასრულე.

თუ წვიმა არ არის, თითქმის არა უჭირს-რა და თუ წვიმები ატყდა, იმისთანა თქვენ მტერს ჩვენ საქმე გვემართება: ურემი და ცხენი ძლივს-ძლივობითად დადიან ჩვენს გზებზედ. წყლები სულ გადირევიან, კაცს შიგ გასვლა არ შეუძლია, რადგან ხიდები არ არის. ჩვენებური ხალხის გაჭირვება რომ მიყურებია, თითქმის ტირილი მოუვა კაცს. ორასი მანეთი უღელ ხარში მიუცია, ასი და მეტი მანეთიც ცხენში, აგერ უენო საქონელი დიდ უშველებელ საპალნის ქვეშ, ტალახში და წყალში იხრჩობა და ან ფეხს იტეხს. სოფლის ღარიბ გლეხისათვის ეს ერთობ საგრძნობელი ზარალი და უბედურობაა.

ამას წინეთ მამასახლისებმა მთავრობის ბრძანება, გამოგვიცხადეს „პირუტყვთ მფარველობის“ შესახებ სხვა და სხვა კანონები, მაგრამ კარგი კი იქნება ჯერ „პირუტყვთ მფარველობის“ მაგიერ „ადამიანის“ მფარველობას იკისრებდეს ვინმე და მერმეთ ისიც შეგვასრულებინონ.

მოიგონეთ იმისთანა ხერხი, რომ ადვილად შეგვეძლოს ყველაფრის გადატან-გადმოტანა და დამუშავება კარგი გზების, ხიდებ-ბოგირები და მერმეთ „პირუტყვების მფარველობა“ და დაცვა მოგვთხოვეთ.

გზების და ხიდების ნაკლულევანება იმერეთში ყველგან არის, მაგრამ ამ შორაპნის მაზრაში უფრო მომეტებულია. ვისი ბრალი არის—არ ვიცი.

ამ დღეებში ერთი ჩემი მეზობელი მოვიდა და მითხრა: ჩვენმა სოფლის მწერალმა წაიკითხა გაზეთიო, გორში ხიდი გაუოხრებია წყალსაო. გუბერნატორი იმ შემთხვევაში იქ ყოფილა და რადგანაც ხიდზედ შეუძლებელი იყო გასვლაო, პარომი გაუბამთ. აქაც ასთე არის: თუ დიდი ვინმე პოლიციის მოსამსახურე პირი დაიძრა, მაშინ გზის გაწმენდას შეუდგებიან მამასახლისები, და უიმისოთ ვინ აქცევს ყურადღებას! ვისაც შეუძლია ამ საქმის რიგიანათ წაყვანა და ვისაც შეეხება, ის წელიწადში ან სულ არა და ან ერთჯერ გაივლის და თითქმის ყურადღებასაც არ აქცევენ და რომელიც ნიადაგ დავდივართ, ჩვენ საწყლები ვართ ყოველ წამს გაჭირებაში.

5 მაისს ოთხი სოფელი შორაპნის მაზრაში: პაცხი, ხრეითი, ვაჭევი და დილიკაური ძრიელ გაოხრა სეტყვამ: წისქვილები ღელეებზედ სულ წაიღო, ვაზების ახალი ტოტები ისე დაამტვრია, რომ ვაზის ღერო თითქმის არ დაუტოვებია. ამ სოფლებს აქვს ზარალი უმეტესი 10,000 მანეთისა.

უზიარებელი ხალხი ეხლა იმერეთში ბევრი კვდება. ჩვენ მღვდლებს ვაბრალებდით, მაგრამ თურმე საწყალი მღვდლები კი არ არიან დანაშაულები: მთავრობას გამოუცხადებია მათთვის, სანაწილე გულზედ ნუ გექნებათ დაკიდებული—საყდარში დაასვენეთო; ესთქვათ მღვდელი სანათლავათ არის სოფელში; მივიდა კაცი და მოახსენა საზიარებელი მყავსო. სანამ ის წავა საყდარში სანაწილეს მოსატანად და მივა ავათმყოფის სახლში, იგი გარდაცვლილი დახვდება. მერმე ხანდისხან რომ იმერეთში ზამთარი და ბუქი იცის, მტრისას....

საზოგადოთ იმერეთის სამღვდელოება ძალიან ღარიბია. ჯამაგირები მოუჭრიდათ მღვდლებსო, გავიგე და ძრიელ გამეხარდა; მაგრამ ზოგს 10-15 და 20 მან. ერგებაო, მეტი არაო! კარგს კი ინებებენ მღვდლები რომ არ მიიღებდენ და იმ ფულებით ბანკს გახსნიდნენ ან არა და „პოპეჩიტელსტვო“ ჰქონიათ, იმას მიუმატებდნენ.

ჩვენს მაზრაში ფერშალი გვყავს, გ. რ—ძე; ყვირილაში სცხოვრობს. კარგი დაგემართოსთ, კარგი პატიოსანი და გამოცდილი კაცი ის იყოს ექიმობაში. ბევრი საქმე შემხვედრია ავათმყოფობის შესახებ და ყველაფერი მოსაწონათ შეუსრულებია, მეც მადლობელი ვარ ამისი და სხვებიც ბევრი ემადრიელება; რიგიანათ ხედება ავათმყოფობას და წამლებსაც რიგიანს უნიშნავს ავათმყოფს. ამას წინეთ ერთი სქელი დოქტორი იყო, მხოლოთ სახელი ერქვა, თორემ წამლობა და რჩევა სულ ამისი იყო.

ხშირათ შემხვდება საჩხერეს, ყვირილას და ჩხარს შუა სიარული; მიკლავს გულს ერთი უბედური საყურადღებო გარემოება: ივნისის თვეში ვენახების მოუჩხირაობა. ეს სიზარმაცით კი არ მოგვდის ჩვენ: ჩხირს ვერ ვშოულობთ. ტყეები ზოგი ხაზინამ დააკავა და არ გვაძლევს და ზოგი მებატონეების არის, რომელნიც მოვალენი არიან, რომ მისცენ ტყე თავიანთ დროებით ვალდებულ გლეხებს, მაგრამ არ აძლევენ. ბევრჯერ მისულან და უჩივლიათ გლეხებს მიროვოი პოსრედნიკებთან: ბატონი ჩხირს არ გვაძლევს, გთხოვთ მოაცემინეთო, თორემ მისთვისაც და ჩვენთვისაც ფუჭდება ვენახიო! მაგრამ ესენი გლეხებს ყურს არ ათხოვებენ და ამით ორივე მხარე ზარალობს: მებატონე და გლეხიც.

ს. წ.

---

**სურამი,** 9 თიბათვეს. ჩვენს სურამს ამა თვის დამდეგ მხიარული სახე დაედო: მოგვივიდნენ ჩვეულებისა-მებრ თფილისიდგან „მეზაფხულეები“, მოვიდნენ აგრეთვე სამი სტრელკოვი ბატალიონი და ქართველების დრუჟინა.

სურამის მცხოვრებლები დიდის სიხარულით ელოდნენ ამათ, და არიან ახლა ერთ რაღაც მოძრაობაში: ზოგი იმას ცდილობს, ეგებ სახლები არ დამრჩეს გაუქირავებელი, და ზოგნი იმას ეძებ, რაიმე ფოდრატი ავიღოთ ბატალიონებთანო: ან ხორაგეულისა, ან ქერის და თივის, რადგანაც ცხენები საკმაოდ ყავთ მათ, და ან შეშის.

მოხსენებულნი ბატალიონები და დრუჟინა დაემყარნენ, ადგილობრივ

---

რა სახმარი იქნება!.. ჰო, იძას მოგახსენებდი: არც ცოლი მაწუხებს და არც შვილი... ვიფიქრე წავალ შევალ პოლკში, ვიშოვნი ჩინს და ტემლაკს და ქე ვიცხოვრებ მერე-მეთქი. მოგეცა ღვთის წყალობა, პოლკში შევედი, შენხარ ჩემი ბატონი, და გამომამწესეს სოტნაში. სოტნის კამანდირი ჩვენებური კაცი იყო და ამისანა საქმეს მიზამდა რავა მეგონა!

**მოსამ.** მე მაგ ლაპარაკს ყურსაც არ უნდებ, ეგ საქმეს არ ეხება.

**ციბაძე.** თუ ყურს არ უგდებ, მე რა მენაღვლება, ქე წავალ ჩემთვის! მე კი არ მიჩივლია, იმან მიჩივლა... ლაპარაკით დიდს არ შეგაწუხებ, ჩემი ანბავი მოკლე გახლავს: თქვენ არ მოუკვდე ჩემ თავს, მე ის არ მაგონდებოდეს, თუ ჩვენებური კაცი მილალატებდა. როგორ იყო, ბატონო, და ჩვენი სოტნა თფილისის ლაგირში გაამწესეს. წევედი მეც. მოგეცა ღვთის წყალობა, კაი ქალაქი ის ყოფილა! აწიო, სოტნის კამანდირმა გამოგვიცხადა სიარული და სროლა უნდა ისწავლოთო. — ვაიპლეჩ, სიარულს რაღა სწავლა უნდა-მეთქი—მოვახსენე.—შენ ბევრს ნუ ლაპარაკობო, მიბრძანა კამანდირმა.—კარგი და პატიოსანი, ვიფიქრე; მარა ჩემ ამხანაგს კი ვკითხე:—ბიჭო, აქ ლაპარაკიც პორციობით ხომ არ არის-მეთქი? კამანდირმა ეს გაიგონა და კარიცერში მატუცვია თავი. მეორე დღეს, გამოგვიყვანეს თოფის სასროლათ. ვიფიქრე, ახლა მაინც მოვიმადრიელებ სოტნი კამანდირს-მეთქი. ისროლა ერთმა, ისროლა მეორემ, ისროლა მესამემ; კამანდირმა თქვა, ახლა მე გაჩვენებ როგორ უნდა სროლაო. ვამოუნიშნა და შიგ შუაგულში სტკუცა... ვიფიქრე, აბა თუ ვარგხარ ხახულიკა, ახლა გამოგაჩთება ვაჟკაცობა-მეთქი, და ვამოუნიშნე მეც, შე ხარ ჩემი ბატონი, და შიგ როტნი კამანდრის ნაკრავში ვკარი. უუუო, შეტრიალდა კამანდირი, რავა გაბედა ჩემ ნაკრავში კვრაო და ქე გამომრიცხა პოლკიდან.

**მოსამ.** შენ, ჩემო ძმაო, მოცლილი ყოფილხარ და რაებს ბოდავ, ვინ იცის.

**ციბაძე.** ვბოდავ კიარა, ცხადათ გეუბნები; სულ აქიდანაა საქმე რომ მოდის; პოლკიდან ჩამოვედი ისევ შინ ვურიაში. სახლის კაცებმა, პოლკში ნამყოფიაო, რუსული იცისო, იქითური-აქეთურიო და ამომირჩიეს მე მაგ სოფლის სუდიის პოპოშნიკათ. ეგ, ბატონო, მომდგარა და მიჩივის, რომ ციბაძე რომ ნომერს აწერს ლაპორტზე, ის ნომერი ჩემი არისო, ეს ორი წელიწადია, რაც მე იმ ნომრით ვსწერ ქაღალდებსო და მაგი როგორ ბედავსო! მეც, ჩემო ხელმწიფევ, ტყვილა რათ უთავაზებ!

**მოსამართლე** (თარჯიმანს) გაიყვანეთ ეგენი გარეთ და გააგებინეთ—რა სისულელეზეც სჩივიან.

**ციბაძე.** გამიყვანოს რავა რა ჩემით ვერ გავალ თუ!

გ. ჭალადიდელი

1871 წ.

ადმინისტრაციის ჩვენებით, სურამის ჩრდილოეთ დასავლეთის მხარეზედ, მშვენიერ მწვანე მინდვრათ — ტყის პირად. იკვრის მუდამ საღამოს მუზიკა და ისმის სხვა-და-სხვა სიმღერები სალდათებისა.... ამასაც კი მოვახსენებთ, რომ საშინელ გაწვალებაში არიან სალდათები სიმღერის დროს: ისე შეუბრალებლივ ატანენ მათ ძალას უფროსები, რომ ამოსუნთქვის და დახველების ნებასაც არ აძლევენ მომეტებულად მაშინ, როდესაც მათ ბახუსის გავლენა შებრალების გრძნობას უკარგავს და სალდათებს კაცებათ ვეღარ სცნობენ.

ამ ბატალიონების მოსვლა სურამში ერთის მხრით სასარგებლოა სურამისთვის (ვაჭრებისთვის და სახლების პატრონებისთვის); მაგრამ მეორეს მხრით საზარალო არის აქაური იმ გლეხ-კაცებისათვის, რომლების მამულ ადგილზედ მახლობლად არიან დამდგარნი. სალდათები დიდ ნავნებს ჩადიან აქ: იპარვენ შინაურ ფრინველებს, არღვევენ ვენახების და ბაღების ღობეებს, გადადიან ვენახებში და ბაღებში და ხეხილებს ერთს ნაყოფს აღარ არჩენენ. რა ქნას საწყალმა გლეხმა: შიშით ხმას ვერ გასცემს მათ, რადგანაც ოცი, ოც-და-ათი ერთათ ქურდობენ, და ისევ უნდა გაჩუმდეს. და თუ მივიდა ახლოს და დაუშალა ხილის კრეფა, შენს მტერს დაადგეს ის დღე, რა დღესაც მას დააყენებენ. მე ჩემის თვალით ვნახე ერთი გლეხი, რომელიც ისე ეცემნათ რუსებს ამ გვარ შემთხვევაში, რომ მთელი ტანი და სახე ლურჯათ ქონდა ლილასავებ.

მათ უფროსებთან ხშირად ჩივიან ეს გლეხები, მაგრამ ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ, ეუბნებიან მომჩივნებს:—გვიჩვენეთ, რომლები იყვნენ, დაგვისახელეთ და დავსჯითო. ახირებული მოთხოვნილებაა, საიდგან გაიგოს გლეხმა მათი სახელები და გვარები და დაიხსომოს სახე, როდესაც ახლოს ვერ ეკარება შიშით, და თუ ახლოს მივიდა თავსაც შესწირავს. მეტად სამადლობელი საქმე იქმნება, რომ მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გვარ გლეხების გაჭირვებულ გარემოებას, და დაიხსნას იგინი აუცილებელ ყოველს წელს ზარალებიდგან.

აგერ ერთი კვირა მეტია, სურამში შემოდგომასავებ სიცივეა, მეტადრე დილით და საღამოთ. საზოგადოთ წელს ზაფხულს ჩვენში ჰაერს ხშირი ცვლილება აქვს. რამდენიმე დღე რომ სიცხე იყოს, უცბათ აგრილდება და სიგრილეს საგრძნობელი სიცივე მოსდევს.

ამ ბოლოს დროს აქაურმა სომხის მღვდელმა საშინელი ადვოკატის ნიჭი გამოიჩინა!? ნუ იფიქრებთ იკადროს შიგ კამერაში ლაპარაკი და საქმის დაცვა, არა: მივა მოსამართლესთან და ეტყვის: „ამა-და-ამ გვარი საქმის გარემოებები მე ასე გავიგე და ამ გვარი მიმართულება უნდა მისცეთ საქმეს, არც საბუთების მიღება ღირს რაიმე." მოსამართლეც უგონებს მას, მისი სიტყვები, როგორც მღვდლისა, წმინდანათ მიაჩნია, და საქმეს მღვდლის ლაპარაკზედ აფუძნებს.

იქმნება ზოგს მკითხველებს გაუკვირდეთ ეს გარემოება, მაგრამ ვისაც კი ტფილისის ჟურნალ - გაზეთები უკითხნია და აქაური მოსამართლის მოქმედებაზედ ყურადღება მიუქცევია, ის სწორეთ დამეთანხმება, და მე ცილის-მწამებელად არ ჩამთვლის. ვურჩევთ ამ მღვდელსაც უპატიოსნო საქმეებზედ ხელი აიღოს.

სურამში ყოფილა ერთი გიჟი დედაკაცი სახელდობ ელისაბედ ნებიერიძის ასული და აქამომდე ყურადღება არავის მიუქცევია. ეს დედაკაცი ისეთი აღშფოთებული დადის ცოფიანივით, რომ ბრალიანსა და უბრალოს ლანძღავს საძაგლათ და თუ სიტყვა უთხრა ვინმემ, სასიკვდილოთ არ დაინდობს.

მივაქცევ ამაზედაც ყურადღებას ვისიც ჯერ არს.

გაზიძე.

---

**სოფ. ძიმითი (გურია), 8 ივნისს.** წარსულს წელში რამდენჯერმე იყო გამოცხადებული თქვენს პატივცემულს გაზეთ „დროებაში", რომ ძიმითის საზოგადოებას (ოზურგეთის მაზრაში) საურთიერთო ამხანაგობის გახსნა სურსო და ადგილობრივი მამასახლისი დიდ მზადებაში არისო. მაგრამ ეს ხმები, სამწუხაროდ, ხმად დარჩა და საქმემ კი ფრთა ვერ შეისხა. რათა, რისთვის,—ეს არავინ იცის.

წარსული წლის თქვენი გაზეთის კორრესპონდენციიდგან ცხადად დაინახავდა მკითხველი, თუ რა ნაირ საფუძველზედ იყო დამყარებული ჩვენი სასოფლო სიმინდის მაღაზია და როგორ თან-და-თან ჰქრებოდა მისი კვალი. იმავე წელს რაც გადარჩა აუარებელ მჭამლებს მამასახლისის მეოხებით გაიყიდა და ამ ფულით საურთიერთო ამხანაგობა უნდა გაეხსნათ. მაგრამ აქამდის არა ისმის-რა. თუმცა საზოგადოებამ მოსთხოვა ანგარიში, მაგრამ არავითარი პასუხი არ მიუღიათ მისგან. აი სწორეთ აქ შეიძლება კაცმა სთქვას ქართული ანდაზა: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო".

ვისაც პირველ დაარსებაზედ უნახავს ძიმითის საზოგადოება სკოლით, მაღაზიით და პ. პ—შვილის ნამუშევარ ბაღით შემკული, ყველა დამეთანხმება, რომ ეხლა ის გურიაში პირველს ნაბიჯზედ უნდა იდგეს სხვა საზოგადოებასთან და თუ ვინმე უცხო მკითხველი იკითხავს: რათაო? —იმედი მაქვს ამ ქვემო მოყვანილ პატარა შენიშვნისაგანაც მიხვდება.

როცა სასოფლო წყობილებ დაარსდა, ე. ი. 1868 წელში, დიდის სიხარულით და აღტაცებით შეუდექით სკოლის და მაღაზიის გამართვას. ყველა სულით და გულით ვცდილობთ მათ აღორძინების და ძირის გადგმას, ყველა მოველოდით მათგან დიდ ნუგეშს და უზომო ტვირთის შემსუბუქებას, მაშინდელის და ეხლაც მყოფ მამასახლისის მოწყალებით; მაგრამ ამ ბოლო დროს სანუგეშოთ დაგვრჩენია სკოლა და ისიც მომაკვდავის ფეხზედ დამდგარი უზრუნველობის გამო.

წარმოიდგინეთ, საზოგადოებამ კაცს პატივი სცა, 12-15 წლით მიანდო მას თავისი ბედი და უბედობა, შეიყვარა შვილივით, ენდო ყველაფერ საქმეში და იმან კი მარტო თავი დაანახვა საქმისა და წელს ქვემოთ კი იმავე უფსკრულ ჯურღმულში დასტოვა, რომელშიაც მათი წინაპარი იყო, ე. ი. მოიპატიჟა სადილათ მშიერი საზოგადოება, ხელი დაბანინა, საჭმელი უჩვენა და ჭამით კი არავის აჭამა.

აი სწორეთ ამას წაჰგავს ბატ. მამასახლისის როსტომ შრუშაძის მოქმედება ჩვენს საზოგადოებაში. პირველათ ხალხი აალელვა, სურვილი აღუძრა, როგორც სწავლისა ისე მაღაზიისა და ბოლოს კი ჩაილულის წყალს მისცა ყოველი მისი შრომა! მაღაზიამ რომ თქენი ჭირი წაიღო, საურთიერთო ამხანაგობა სოფლის ჭირად გახდა და სკოლასაც, როგორც ეტყობა, რაღაც ხავსი უჩნდება.

ამ მოკლე ხანში მოაწევს სოფლის მოხელეების ამორჩევა და შეიძლება სოფლის გაუტანელმა ხალხმა დაითხოვოს სამსახურიდგამ,—მაშინ რას იფიქრებს ბატ. შრუშაძე თავის წარსულ სამსახურზედ, რას გვიტოვებს საზოგადოებას იმისთანა ნამოქმედარს, რომ ტკბილი ჴსენებით და ლოცვით მოვიგონოთ ის?—არა ფერს.

ყველა ამაებს მოვაგონებ ჩვენს საზოგადოების წარმომადგენლებს და ვსთხოვთ გაზეთითვე მოგვცეს პასუხი და ყველა ანგარიში მაღაზიისა და აგვიხსნას მიზეზი, თუ რამ დააბრკოლა საურთიერთო ამხანაგობის საქმე.

იოსებ ხელაძე.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! ქ. ქუთაისიდამ კორესპონდენტი თქვენს პატივცემულს გაზეთში „დროებაში" მე-№ 120 იწერება საკათედრო სობოროს გაქურდვაზედ. იგი ისეთ ნაირათ იწერება, თითქო დამსწრე იყოს ყოველივე ბოროტ-მოქმედების შეტყობისა და განჩხრეკისა, მაგრამ სამწუხაროდ ნამდვილად კი არ იწერება; ნაცვლად მისა, რომ მას საქმე სისწორით გარდაეცა მკითხველებისთვის, მისდგომია ფაკტების დამახინჯებას.

სანთლის ფულის ყუთი სობოროისა გასტეხეს და სრულიად ცარიელი დახვდათო," იწერება კორრესპონდენტი. ყუთი სრულიად ცარიელი არავის დახვედრია, კიდევ აღმოსჩდა მასშიდ რამდენიმე მანეთი.

ყუთის გაჩხრეკის შემდეგ ვითომ მე, სტაროსტას მეთქვას კანდელაკისათვის: „ეს სახუმრო არ არის, სხვებიც დავათვალიეროთ" ამ გვარი მოგონილი სიტყვებით თქვენს კორრესპონდენტს გაზეთის მკითხველები ეჭვში შეჰყავს ჩემზედ, ვითომ მე წინდა წინ მცოდნოდეს ყოველივე ბოროტ-მოქმედება მომხდარი სობოროში ქურდისაგან. ეს სიტყვები [illegible] არავისათვის მითქვამს [illegible] საიდგან შეთხზა ბ-მა კორრესპონდენტმა. ეტყობა მას უწყებულნი სიტყვები უხმარია თავის კორრესპონდენციის გასამშვენიერებლად, ანდა პიროვნული მტრობით. კორრესპონდენციების წერა თუ იცის, ისიც უნდა შეესწავლა, რომ ყოველივე კორრესპონდენცია უნდა იყოს შემდგარი თვით ნამდვილ მომხდარ ფაკტებისგან და არა შეთხზულ ფრაზებიდგან. თვარამ დაკარგული არის ფრიად—მცირე და არა ღირსი ყურადღებისა, დაათვალიერეს სხვა ფულებიც და გამოდგა, რომ შემონაწირის ფულის კრუშკები, ხატისა და განზანაკისა და სკივრები ძვირფასის ნივთებით გაღებული და დამტვრეულია... მაგრამ ფულის მეტი წაღებული არა არის რა." ამბობს ბ-ნი კორრესპონდენტი. ჩვენ არც კრუშკები და არც სკივრები არ დაგვითვალიერებია შემდეგ პირველ ბოროტ-მოქმედების შეტყობისა, არამედ შემდეგ ორის დღისა ისინი აღმოჩნდენ დამტვრეულნი. ნახა კანდელაკმა და ქურდს რაოდენიმე მანეთი მხოლოდ წაეღო კრუშკებიდამ.

ვითომც იმავე დღეს ნალოცევს, როცა სანთლის ფულის ყუთი აღმოჩდა გატეხილი, მე გამომეცხადებიოს დეკანოზისათვის „ფულები დაბლა უჯრაში ჩაცვენილა და აღმოჩნდა." ამაზედ მოვახსენებ კორრესპონდენტს, რომ მას ეგ სიტყვები სწორეთ მოსიზმებია, რორემ ცხადში იგი ამ სიტყვებს ვერ გაიგონებდა, დეკანოზისათვის და კანდელაკისათვის არ მითქვამს, არამედ მე, ვიზედაც ეჭვი მქონდა, მას კი უთხარი, რომ შენ ოღონც თქვი მართალი და შენის სახელის გაუტეხელობისთვის მე ვიტყვი, ფული მოინახა-მეთქი. და ესეც იყო მეორე თუ მესამე დღეს. თვარამ სად გაგონილა და თუ მოიძებნებიან ჩვენში ისეთი ქურდები, რომ ნაპარავს, ნამეტურ ფულს, ისევ თავის ალაგას აბრუნებდენ. ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა ყველასთვის, რომ ამ წესით სრულდებოდეს ჩვენში ქურდობა.

დეკანოზს და კანდელაკს გაუხარდათ, რომ შეიტყვეს ვისგან იყო ეს „მანქანება; მაგრამ ვერა გაუბედესრაო"—იწერება კორესპონდენტი. ეტყობა კორესპოდენტმაც იცის—ვინ მოახდინა მანქანება სობოროში, მაგრამ იმოდენი მხნეობა ვერ უხმარია რომ გამოეცხადებია. მანქანს სხვაც მანქანი ჰგონია.

1863 წლიდამ მადლითა ღვთისათა ვარ ორს ეკკლესიაზე მე ამ ღვთიურ სამსახურში და არ მომიხდენია არავითარი მანქანება და არც არავითარი ჯილდოს მოცემაც არ მითხოვნია და არც ვარ მსურველი ამისა, არცა თუ ჯამაგირი და არც თუ სახლის გარდასახადი შემირჩენია. მაგრამ რადგან კორესპონდენტი საქვეყნოდ აცხადებს ვითომ დეკანოზმა და კანდელაკმა იცოდნენ ვინ მოახდინა

მანქანება სობოროში, ამისათვის ჭეშმარიტების აღსადგენელად და ყოველ სობოროში მოსამსახურე პირთ ლაქას მოსაწმენდელად პატიოსნება მოითხოვს გამოაცხადოს გაზეთში, თუ იცის, ვინ არის მანქანი, რომლის წინაშე ისინი თრთიან და რაც ბოროტმოქმედება უნდა ჩაიდინოს, ვერას უბედვენ. საჭიროა ამგვარი კაცი საზოგადოებამაც იცოდეს.

რაც შეეხება იმას, ვითომ სასულიეროს მთავრობამაც იცოდეს რაც სობოროში ბოროტმოქმედობაებია და გამოძიებას არ ნიშნამდეს, ამაზედ მოვახსენებ ბ-5 კორესპონდენტს, რომ იგი ეტყობა ვერიცნობს იმერეთის სასულიერო მთავრობას, იგი ისეთი პატიოსნებით, მართლ-მსაჯულობით და მაგარი ხასიათით არის აღჭურვილი, რომ ბოროტმოქმედებას ძრავის შეაწევს.

„შემდეგ სამის ღლისა ყველა სობოროის კარები გაღებული დახვდათ ყარაულებსო", იწერება კორესპოდენტი. ღმერთო ჩემო, კაცმა შეიძლება რომელიმე ფაკტის უცოდინარობისგამო ერთი-ორი სიცრუის დაწერა მოახდინოს თავის ნაწერში, მაგრამ ამგვარი თავიდამ ბოლომდის ფაქტების დამახინჯება შეიძლება? გასაღები ქონდა ერთ ყარაულს; მას შეეძლო კარების გაღებაც და დაკეტაც. ყარაულმა და არა ყარაულებმა ერთმა მეორეს შეატყობინა, მაშინ დეკანოზს შეატყობინეს კარები გაღებულიაო, მან პოლიციის პრისტავი დაიბარა და მეც შემატყობინა; მოვედით, ვნახეთ, კარები დაკეტილი, კლიტე არა წამხდარი, შევედით შიგნით და სანთლის ფულის ყუთი მეორეთ გატეხილი ვნახეთ, ესეც არა 3 დღის შემდეგ, არამედ შემდეგ 8 დღისა. ყარაულს კარები გაღებული დახვდა თუ არა, ღმერთმან იცის. ამ დროს დეკანოზს სრულიადაც არ უთქვამს: „დაჩუმდით, არაფერლია, ამას მე გავიგებო". როგორ იტყოდა ამას, მას კარგათ ესმის თავის თანამდებობის მოვალეობა და დიდი მზრუნველი არის, როგორც სობოროისა, აგრეთვე სხვა ეკლესიებისა, არა ვითარ წესიერებას არ გაუშვებს სახიდამ.

ყარაულებს სრულიადაც არ უთხოვნიათ დეკანოზისათვის ყარაულობაზე ხელის აღება; მხოლოთ ერთმა მათგანმა, რომელმაც თქვა, კარები გაღებული დამხვდაო და რომელსაც კლიტე ქონდა, თავის სურვილით ინება გასვლა.

სტაროსტა ლუკა ბაქრაძე.

ქუთაისი, 6 ივნისს.

# განცხადებანი

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერ ჩი 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—70)

**ისყიდება ინგლისის მაღაზიაში**

30%-ზე უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან: მურაბა, კაკაო, ბრინჯი, ჭურჭლეულობა, ბაკლები, ტაშტები, პირის დასაბანები, ჩაინიკები, სტაქნები, პადნოსები, კლიტეები, დანები, კოვზები, კალმები, ქაღალდი, კარანდაშები, რვეულები, თოფები, რევოლვერები, ალბომები, კრაოტები, ტანსაცმელი, ტრიკო, პარუსინა, ცხვირ-სახოცები, პირსახოცები, კლეონკა, კაცის და ქალის წინდები. უნაგრები, პორტვეინი, ხერესი, კონიაკი და სხვ. ჩაი პარტიებით ვაჭრებს ფუთობით 44, 46, 48, 50, 52, 54 და სხვ..

იქვე იაფად: მერბეთი, მაგნეზია და წურწვილისაგან ლეპიოშკები, ცივებისაგან ქინაქინას ღვინო, კარბოლის პარაშოკი, საპონი და წამლები ეპიდემიისგან დაცვისა, მედიკური ქაღალდი ფეხის-ალაგებისათვის, სპარსეთის პარაშოკი და სხვ. (15—6)

**მოსახურავი** 4 მანეთად, ნასოსები 1 მან., დასაკეცი სკამები 2 მან., სკამიანი ჯოხი 4 მან., კრავატიანი კრესლო 10 მან. დაწყვებული, ფილტრები 4 მან. ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 30 კაპ. თითო, ინგლისური ვანნები და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.**

10,000 რწყვილი ქალის წინდები 25 კაპ. დაწყვებული 75 კაპ.-დისინ, 10,000 რწყვ. კაცის წინდები 35 კაპ. 1 მან.-დისინ, 7,000 პადნოსები 5 კაპ.—5 მან.-დისინ., 1,000 კრავატები 5—35 მან.-დისინ, 400 არშინი ბოვაზეი 1 მ.--1 მან. და 30 კაპ.-დისინ, 800 არშ. პარუსინა 40 კაპ.—1 მ.-დისინ, 300 რევოლვერი 4 მ.—35 მ.-დისინ, 200 ალბომი ნახევარ ფასად. 10,000 გირვანქა მშვენიერი ჩაი თავის ჩაინიკებით 1 მ.—65 კაპ., რკინის კალმები ყველა გვარ ხელისათვის. (15—5)

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფიდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შჩოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—87)




მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითებს შუა,




# გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის **ფარმაციის** მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე **№ 35.** დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ასსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო გამოფენისა. (20—8) გ. კარპინსკი.

# ქუთაისში

ივანე ნიკოლაძის და შეილთა მოდის მაღაზიაში მიღებულია სამზღვარ გარეთიდამ მრავალ გვარი საქონელი. თუმც ბაჟმა მოიმატა მაგრამ ყველაფერი წინანდელ ფასებით იყიდება. მაღაზიაში არის და კიდევ მოელიან დიდ-ძალ შუშეულს და ჭურჭლეულს. ფასები 25% ნაკლებ ვიდრე სხვა მაღაზიებში. (10—5)

ინგლისის მაღაზიაში



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—104)

**ინგლისის მაღაზიაში**

**მოსახურავი** 4 მანე., ნასოსები 1 მ., დასაკეც სკამები 2 მ., სკამიანი ჯოხი 4 მ., კრავატიანი კრესლო 10 მ. დაწყვებული, ფილტრები 4 მ., ქინძისთავების შესანახავი 50 კაპ., ხრუსტალის ჩაის სტაქნები 25 კაპ. და 30 კაპ. ლუჩინოშკები და პასტილებისთვის და სანთლებისათვის 60 კაპ. ინგლისური ვანნები და სხვა. (20—4)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საავგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭიანჭანს იგარები. (100—83)

უმაწვილს კაცს ჭსურს აიღოს ფრანცუზულისა და ლათინურის ენის გაკვეთილები. თანახმაა ქალაქს გარეთაც წავიდეს. მსურველს შეუძლიან იკითხოს სოლოლაკზე, სუმბათოვის სახლებში. კონდახჩევის თამბაქოს მაღაზიაში. (3—3)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—)4

# დავითიანი

თხზულება

**დავით გურამის-შვილისა**

(ძველი მწერლობა)

სრული გამოცემა თვით ავტორის ხელთ-ნაწერიდგან, გამოცემული გ. ზადიკანოვისაგან პ. უმიკაშვილის რედაქტორობით.

**ფასი** ერთი მანეთი.

**ისყიდება:** თფილისში გ. ჩარკვიანის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ხიდზე და ბულვარზე „ივერიის" თამბაქოს მაღაზიაში. ხელაძის სტამბაში და ქუთაისს ბერარდის წიგნის მაღაზიაში.

ვინც ასს წიგნს დაიბარებს თვით გამომცემლისგან, ნაღდს ფულზე დაეთმობათ 20%. ვინც ორმოც-დაათს—15%. ადრესი—სტამბა ხელაძისა. (5—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Іюня 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი